

შეფასებისათვის სუფთა ციტრუსოვანთა მოსავლის მიღება აზოტოვანი სასუქების ფორმების გამოყენებით.

სამეცნიერო ცდებით და ფართო საწარმოო პრაქტიკით დადგენილია წითელმიწა ნიადაგებზე აზოტოვანი სასუქების მაღალი ეფექტიურობა ციტრუსოვანი კულტურების ქვეშ და მათ შორის ციტრუსოვანთა ბაღებში.

აზოტოვანი სასუქების ფორმების მიხედვით წითელმიწა ნიადაგის ხსნარში აზოტია ამიაკური და ნიტრატული ფორმით. ნიადაგში ნიტრატული ხსნარის შემთხვევაში ციტრუსებში გადადის ნიტრატი, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს ნაყოფის ბიოქიმიურ შედგენილობაზე. ასეთი ნაყოფის მოხმარების შემთხვევაში ნიტრატებს ღებულობს ადამიანი.

საველე ცდების პირობებში სრულმსხმოიარე მანდარინის ბაღში იცდებოდა აზოტოვანი სასუქების სხვადასხვა ფორმები და დოზები: ამონიუმის გვარჯილა, ამონიუმის სულფატი, შარლოვანა, შარლოვანა ფორმალდეჰიდური ფორმა და სხვა. წლების მანძილზე ისწავლებოდა და დადგენილი იქნა მთელი რიგი კანონზომიერებანი. აღნიშნული სასუქების რეარიანტებზე მიღებული მანდარინის ნაყოფებში შესწავლილი იქნა ნაყოფის ბიოქიმიური შედგენილობა, ნაყოფის შენახვის უნარიანობა ბუნებრივ პირობებში, ქიმიური შედგენილობა ნაყოფის კანსა და რბილობში და სხვა. გასნაზღვრული იქნა ჩვენს მიერ პირველად თავისუფალი ამინომჟავების საერთო რაოდენობა. 28 დასახელებ

დადგენილია, რომ თავისუფალი ამინომჟავები (შენახვამდე და შენახვის შემდეგ) ცილების სინთეზისათვის საუკეთესო შედეგს იძლევა შარლოვანა ფორმალდეჰიდური სასუქების გამოყენების დროს. ასევე ნაყოფის კანში განსაზღვრულია ეთერზეთების ცვალებადობა სხვადასხვა აზოტოვანი სასუქების ფონზე.

შესწავლამ გვიჩვენა, რომ შარლოვანა და შარლოვანა ფორმალ-

დეჰიდური ფორმა სხვა აზოტოვან სასუქებთან შედარებით იძლევა არამარტო მაღალ და სტაბილურ მოსავალს, არამედ იძლევა ეკოლო-
გიურად სუფთა მანდარინის მოსავალს და გარემოს იცავს ნიტრატის
ვაჭუჭყიანებისაგან.